# ცნობის ფურცელი

VI წ. | ყოველ-დღიური გამოცემა | 1901 | სამშაბათი, 1 მაისი | № 1452

**გაზეთის ღირს:** წელიწადში—**6** მან., თვეში—**75** კაპ., ცალკე ნომერი—**3** კაპ., ფასი განცხადებისა: ...ლებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—**10** კ. მეოთხეზე—**5** კაპ.

...ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-...კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, **11** საათიდან **1**-ლ საათამდე.

**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

## რედაქციისაგან.

...ხელის მომწერთა საყურადღებოდ: ...აც პირველ მაისამდე არ ექნება ...ოტანილი «ცნობის ფურცელ-მოამ...» მეორედ შემოსატანი ფული, ...№-ები აღარ გაეგზავნებათ.

...ფილისის არტისტიულ საზოგადოების დარბაზში.

შაბათს, 5 მაისს 1901 წ.

...აიმართება ქ. ე. ვ. სარაჯიშვილის

## ...კონცერტი,

...რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ...გ. ი. მარტინოვისა და ტ. ი. ტერ-...ეფანოვისა; ბ.ბ. მ. ტ. ვასილიევი, ლ. ...ლიუდვიგოვი, თავ. ი. ბარათაშვილი ...ბ. ს. მგალობლიშვილი.

...ბილეთები ისყიდება არტისტ. საზოგ. ...ატრის კასსაში და კნ. ნ. ნ. ორბელიან-...ს (ალექსანდროვის ქ., № 6). (3—უ.—1)

გამოცდილი

## მიწის-მზომელი

...ილებს კერძო სამიწის-მზომელო სამუ-...ოებს. ადრესი მსურველთ შეუძლიანთ ...თხონ „ცნობის ფურცლის“ რედაქცია-... (3—ნ.—1)

ტფილისის კერძო

## სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

...მყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმე-ების გარდა,

დილით:

...ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8 — საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით — 9—10 ს.

ნ. ა მუდიანი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა — 11—12 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი — თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12—1 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი — სადოსტაქრო — $12^{1}/_{2}$ — $1^{1}/_{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი — $1^{1}/_{2}$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი. — შინაგანი (სტომაქის ავათმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. — 5—6 საათზე.

გ. მაღალაშვილი — კვირაობით — 10—12 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

## მთავრობის განკარგულებანი

### სამოქალაქო უწყებას:

ქ. შუშის პოლიციის მეორე ნაწილის ბოქაულის თანაშემწედ დაინიშნა თავ. გურამიშვილი, ხოლო შუშის მაზრის მე-IV ნაწილის ბოქაული კოლლეჟსკი რეგისტრატორი თავ. ვაჩნაძე გადაყვანილ იქმნა არეშის მაზრის მეორე ნაწილის ბოქაულად.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

✡ გაზეთებს გაუგიათ, რომ კონსერვატორთა კავშირის მომავალ კრებაზე სოლსბერის ნაცვლად ბალფური იქნება თავმჯდომარედაო. ამ ცნობის გამო «მანჩესტერ გვარდიან»-ი სწერს:

«ამ ამბავმა გააძლიერა იმ კონსერვატორების შიში, რომლებიც სამინისტროს დაცემას მოელიან. უფრო და უფრო ნათლად ჩანს, რომ ავადმყოფობის გარდა, პირველ მინისტრს საზოგადოთ ხალისი დაეკარგა თავის თანამდებობისასრულებისა და სამსახურიდან გასვლა სწადიან. და თუ ეს მოლოდინი გამართლდა, დიდი ცვლილება მოხდება სამინისტროში. ერთმა მინისტრთაგანმა შემდეგი პასუხი მისცა ერთ თავის მეგობარს, რომელიც სამინისტროს წევრებ შუა ატეხილ განხეთქილობის თაობაზე შეეკითხა: «მინისტრებ შუა ეხლა უფრო მეტი თანხმობაა, სანამ სამი თვის წინად იყო». სხვანაირად რომ ვსთქვათ, მინისტრებ შუა ეხლაც მცირე თანხმობაა».

✡ 20 აპრილს ინგლისის დეპუტატთა პალატაში ირლანდიელმა დეპუტატმა ოკონორმა წინადადება შეიტანა, რომ ირლანდიის გენერალ-ატტორნეის (უმთავრესი პროკურორი) ჯამაგირს 500 გირ. სტ. მოაკლოთო. ამით ოკონორს უნდოდა დეპუტატთა პალატის ყურადღება მიექცია შემდეგი გარემოებისთვის. ირლანდიელმა ჟურნალისტმა მაქს-გიუგმა დასწერა, რომ ირლანდიაში მოსამართლეები ნაფიც მოსამართლეებს თავიანთ ნებით არჩევენ და ისე აყენებენო. მაქს-გიუგს სასამართლომ ამ წერილისათვის ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა. ხოლო ოკონორი ამტკიცებდა, რომ მაქს-გიუგი სრულიად მართალი იყოო. ნაფიც მოსამართლეთა სამსაჯულო უკანასკნელი იმედია დაჩაგრული ერისა, ხოლო ირლანდიაში მუდამ განგებ ისეთ ნაფიც მოსამართლეებს აყენებენ, რომელნიც სხვა ეროვნებისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკური შეხედულების ხალხი არიან და ამიტომ ბრალდებულს უოველთვის მტრულად უყურებენ; ესევე უნდა ითქვას თითონ მაქს-გიუგის პროცესსის შესახებაც. არც ერთი კათოლიკე-სარწმუნოების ნაფიცი მოსამართლე არ გაიია ბრალმდებელმა. ოკონორს ირლანდიის გენერალ-ატორნეიმ უპასუხა. ამან განაცხადა, რომ გიუგს დაპატიმრება გადაუწყვიტეს არა იმ საბუთით, რომ მან ნაფიც სასამართლოს წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადა, არამედ იმისათვის, რომ მან სასამართლოს გადაწყვეტილობა გაკიცხა და მოსამართლეებს ფიცის გატეხა დააბრალა. ბრალმდებელმა კათოლიკე ნაფიცი მოსამართლეები იმისთვის კი არ მოიშორა, რომ მათ სარწმუნოებისა და ეროვნების წინააღმდეგი იყოს; სასამართლოს ჰსურდა მხოლოდ, რომ ირლანდიის დიდის წევრის საქმე თითონ მის თანამოძმეებს და თანა-წევრებს არ გაერჩიათ. შემდეგ კამათებში მონაწილეობა მიიღო ლიბერალურ კაბინეტის დროს გენერალ-ატორნეად ნამყოფმა რ. რეიდმა, რომელმაც განაცხადა, რომ ირლანდიის სასამართლოები მართლაც და მეტის მეტად ბოროტად ხმარობენ თავიანთ უფლებას და ნაფიც მოსამართლეებს მიდგომით არჩევენო. ამის შემდეგ პალატა კენჭის ყრას შეუდგა და ოკონორის წინადადება უარჰყო 173 ხმის უმეტესობით 105 ხმის წინააღმდეგ.

✡ 20 აპრილს ხაზინის კანცლერმა მიიღო მუშების დეპუტაცია, რომელიც იმ მიზნით მოვიდა მინისტრთან, რომ პროტესტი გამოეცხადებინა წინააღმდეგ მთავრობის მიერ დაწესებული ბაჟისა უცხოეთიდან შემოტანილ შაქარზე. გიქს-ბიჩმა გამოუცხადა დეპუტაციას, რომ მთავრობას არ შეუძლიან თავისი კანონ-პროექტი გააუქმოს და ან რამენაირად გამოცვალოს: შაქარზე დადებული ბაჟი ხარჯთ-აღრიცხვის უმთავრესს მუხლს შეადგენს; ეს უმთავრესი წყაროა, რომლითაც მთავრობას იმედი აქვს დეფიციტი დაჰფაროსო.

✡ რადგანაც ამ მოკლე ხანში საფრანგეთის პარლამენტის სხდომები დაიწყობა, ამიტომ პა-

# ფელეტონი

## ქართული მუსიკა.

...) კლენოვსკის კონცერტი ხმა—საკრავშეწყო-...ილი; 2) ქორიძის კონცერტი ხმა შეწყობილი ...ა 3) ქართული მუსიკა,—წერილი ლეიპციგის უნივ. პროფ. კარლო ბიუხერისა.

...წარსული წლის ჟურნალ-გაზეთობამ ქარ-...ლ მუსიკას თითქმის არაფერი არ უძ-...ნა, თუ ერთ ორ უფერულ მოკლე წე-...ლს არ ჩავთვლით; ადგილის უქონლობა ..., თუ დროისა, ამის მიზეზის გამოკვლე-... ჩვენ არ შეუდგებით; მხოლოდ სამწუ-...ო კია, რომ წარსულ სეზონში კონცერ-...ბი გამართეს ბ.ბ. კლენოვსკიმ და ქორი-..., წერილიც დაიბეჭდა ცნობილი ლეიპცი-... უნივერსიტეტის პროფესსორის კარლ ...უხერისა ქართველთა საერო მუსიკის შე-...ებ და ეს სამი შემთხვევა კი საკმაო მა-...ას წარმოადგენდა, რომ მცოდნე მე-...ლყურეს აღენიშნა და რამე აზრი გამო-...ქვა ამ საგნის შესახებ.

...პირადად ჩვენ არ გვემარჯვება რაიმე და-...ეროთ ამ კონცერტების შესახებ, რად-...აც, როგორც მომღერალი, ორივე კონ-...რტში მონაწილეობას ვიღებდი. მაგრამ ...წუხარო დაუდევრობა, რაც გამოაჩნდათ ჩვენს მემუსიკეთ, შემთხვევას გვაძლევს, შეიძლება, ზოგიერთის არა სასურველადაც, „ავსა ავი ვუწოდოთ და კარგსა კარგი“.

საზოგადოდ წერა სახალხო მუსიკისა და განსაკუთრებით ქართული მუსიკის შესახებ, უნდა გამოვტყდეთ, ერთობ საძნელოდ მიგვაჩნია პირადათ ჩვენ. მრავალ მიზეზთა შორის დავასახელებ მხოლოდ ერთს: სიმღერა ძრიელ გვიყვარს და მიზეზიც გვაქვს თუ რისთვის; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ის მუსიკა, რომელიც ისე მოსწონს საზოგადოებას, ის საერო მელოდიის ხმების კომბინაცია, თუნდაც კარგის, სანდომიანის ხმის მქონესაგან შესრულებული, ჩვენ, როგორც ერთ თავმდაბალ მემუსიკეს, უინტერესო გვგონია, თუმცა ამავე დროს კი ჟამიერ მიმზიდველობის ნიშანიც ეტყობა.

ამ საზოგადოების გემოვნებასთან შეუთანხმებლობამ იქნებ რაიმე უცნაურ მდგომარეობაში ჩაგვაყენოს, ამა თუ იმ ნიჭის მოწინააღმდეგეც გაგვხადოს. ესეც, რასაკვირველია, უმიზეზოდ არ მოხდება და საკმაოა ვსთქვათ თუნდა ის, რომ ჩვეულებრივი მაყურებელი სტკბება მარტო მუსიკით, მისი მოქმედების აზრის არ დამდევი, ან და მსჯელობს მუსიკისათვის, სრულიად მუსიკის უცოდინარი და უდარდელი, როგორადაც უმეტესად ერთი ნაწილი საზოგადოებისა. აი სწორედ ეს აღნიშნული შემთხვევა დღეს ჩვენში კი უფრო მეტია და სამწუხაროდ ამას კიდეც დაერთვის ხოლმე ზედ ფრიად საგრძნობელი შეცდომა მუსიკის უბრალო წესების ცოდნაშიაც კი.

ეს მათქმევინა თუნდაც სულ იმ შეგნებულმა და წინასწარ განზრახულმა უსამართლო სჯამ, რაიცა ცხადათ დაეტყო წრევანდელ წლის «Новое Обозр.»-ის ერთ ფელეტონს, რომელსაც საგნად ჰქონდა ბ-ნ კლენოვსკის მიერ ქართულ სიმღერების შემუშავება, თუმცა, ვიმეორებ, ამისთანა მაგალითი არა ერთია.

მაგალითებრ, ფელეტონის დამწერი მოელოდა თურმე „ნამდვილ შემუშავებას, ისე რომ დაცული ყოფილიყო საერო ფიზიონომია ქართულის სიმღერებისა“—„Дѣйствительную обработку, гдѣ была бы сохранена національная физіономія грузинскихъ пѣсень.“ რას ეძახიან ამისთანა აზრის გამომთქმელნი, რომელნიც ამბობენ, რომ „საერო ფიზიონომია ხმებისა ცოტად თუ ბევრად დაცული ყოფილიყოვო“, სასურველია ვიცოდეთ: მარტო ხმა შეწყობილს, თუ ხმა-საკრავ შეწყობილ მუსიკას. თუ ხმა შეწყობილ მუსიკას ვიგულისხმებთ, ბ. კლენოვსკიმ ხმა შეუწყო იმას, რაც გარდასცეს და ისე, როგორც გარდასცეს. ხოლო თუ, მოლოდინის წინააღმდეგ, ეს ხმა შეწყობილობა ის ქართული არ გამოდგა, რაც თქვენ გნებავდათ, კლენოვსკის ბრალი კი არაა, პირველი, იმის ბრალია, რომ ისე უხეირო სასიმღერო კილოები ჩააწერინეს და 2) თქვენ თითონ არ ჩააწერინეთ ნამდვილი კილოები. პირველ შემთხვევაშიაც და მეორეშიაც ბ. კლენოვსკი კი მართალია. თავის თავად კი როგორც ხმა, ისე საკრავ შეწყობილობა ამ კონცერტისა, უეჭველია ხელოვანი კაცის ნაყოფი იყო, თორემ მოგეცათ ღვთის წყალობა, კლენოვსკისთვის რომ გარდაეცათ ორიგინალი და არა გადაგვარებული კილოები სიმღერებისა, მაშინ ხომ კონცერტი, მართლა რომ, უებრო რამ მოსასმენი იქმნებოდა, როგორც ეტნოგრაფიული. მაგრამ სულ არც ასე ყოფილა თურმე საქმე: როგორც „Нов. Обозр.“-ის წერილიდანაც სჩანს, არამც თუ შეუმჩნევიათ საერო ფიზიონომია ქართული ხმებისა, არამედ იმის ყურსაც კი გაუგონია ადრე მოსმენილი სიმღერები და ხოროც, თურმე, ცოტად თუ ბევრად ქართულ კილოებსა მღეროდა: „узнавалъ слышанныя ими раньше пѣсни и что хоръ пѣлъ болѣе или менѣе грузинскіе мотивы“. ამ ხმებისათვის საკრავის შეწყობა კი უიმისოდ შეუძლებელია, თუ ეს საკრავი არ იქმნა დამოკიდებული ხმების უმთავრეს მელოდიაზედ, ისე რომ საკრავი ამ მელოდიის მიმდინარეობას ხელს უნდა უწყობდეს და სხვა-და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლატის მუდმივი კომისია, რომელიც არჩეულია მუშების დაზღვევის შესახებ საკითხების შესამუშავებლად, დროზედვე შეუდგა თათბირებს იმ დამზღვევი კასსის თაობაზე, რომელიც მთავრობის განზრახვის თანახმად უნდა დაწესდეს მოხუცებულ და დაშავებულ მუშებისათვის. კომისიამ უნდა განიხილოს ის ცვლილებანი, რომელიც ფინანსების და ვაჭრობის მინისტრებმა მოახდინეს კომისიის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტში მუშების პენსიების შესახებ. ბევრ მუხლში მთავრობა სავსებით ეთანხმება კომისიას; ეს უმთავრესად ითქმის იმ ფულზე, რომელიც უნდა შეიტანონ მუშებმა, საქმის პატრონებმა და სახელმწიფომ ამ კასსაში პენსიების მისაცემად. მაგრამ მათ შორის საყურადღებო უთანხმოებაც არსებობს. ასე, მაგალითად, კომისიის პირველდელი პროექტით პენსიები უნდა მისცემოდათ ყველა სოფლის მეურნეობაში მომუშავეებსაც, ხოლო მთავრობის პროექტით პენსია მიეცემა მარტო იმ მუშებს, რომლებსაც ერთის წლით ჰქირაობენ. შემდეგ კომისიამ დაადგინა, რომ მოხუცებულ მუშებს პენსიად მისცემოდათ არა ნაკლებ 360 ფრანკისა წელიწადში და რომ მთავრობას ეკისრნა ამ ფულის შესრულება, როცა ეს პენსია ანგარიშით ნაკლები იქნებოდა ხსენებულ თანხაზე, მაგრამ მთავრობა წინააღუდგა ამ დადგენილობას და განაცხადა, რომ ის ვერ იკისრებს რაიმე მინიმუმის უზრუნველ-ყოფას; მთავრობა თანხმაა მხოლოდ, რომ სახელმწიფომ უზრუნველ ჰყოს 30%-ის შეტანა ამ პენსიების მისაცემად. შემდეგ კომისიის პროექტით სახელმწიფომ უნდა შეავსოს პენსია განსაზღვრულ მინიმუმამდე, როცა მუშა უდროვოდ დაშავდება და დაუძლურდება, იმ შემთხვევაში, თუ მუშას არა ნაკლებ 2000 სამუშაო დღის განმავლობაში შეჰქონდა ფული საპენსიო კასსაში; მთავრობა კი ამბობს, რომ ის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუსრულებს მუშას პენსიის მინიმუმს, თუ მუშას საპენსიო კასსაში ფული 2500 სამუშაო დღის განმავლობაში შეჰქონდა. მეორეს მხრით, კომისია დასთანხმდა მთავრობის გეგმას საპენსიო კასსის შინაგან მოწყობის შესახებ: მას წინად უნდოდა, რომ 20 ცალკე-ცალკე საოლქო კასსა დაწესებულიყო, მაგრამ ეხლა ფინანსების მინისტრის პირდაპირი მოთხოვნით კომისია დასთანხმდა, რომ მთელი ეს საქმე ექვემდებარებოდეს ერთ ეროვნულ საპენსიო მუშების კასსას.

✿ შეერთებულ შტატების დელეგატები ვაშინგტონში მივიდნენ და ამ ჟამად ისევ აღიძრა ძველი საკითხი: შეუძლიანთ, მომზადებულნი არიან კუბელები თავიანთ თავს თითონ მოუარონ, დამოუკიდებლად იცხოვრონ, თუ არა. როგორც ვითით შეერთებული შტატების სენატმა ის აზრი გამოსთქვა, რომ კუბელებს არ შეუძლიანთ ჯერ დამოუკიდებლად ცხოვრებაო.

კუბელებს მოჭბეზრდათ მუდამ სხვისა ხელში ყოფნა და შეყურება; ისინი თხოულობენ, რომ ამერიკის მთავრობამ მათ სრული დამოუკიდებლობა მისცეს. ამის თაობაზე ფრანგ. გაზ. «ტან»-ი ამბობს:

«კუბელებს შეუძლიანთ მოაგონონ შეერთებულ შტატებს ის პასუხი, რომელიც ამ სახელმწიფოს კომისარებმა პარიზში 1898 წ. ზავის ხელ-შეკრულობის დადგენის დროს, მისცეს ისპანიის წარმომადგენლებს. აი ეს პასუხი: «ამერიკის კომისარებს ვერ გაუგიათ, თუ რა საბუთით მიაჩნია ისპანიის მთავრობას, ვითომ კუბის ერს არ შეუძლიან სრული თავისუფლება და თვით-მმართველობა თავის სასარგებლოთ მოიხმაროს.» მართლაც ესპანიის მთავრობამ ესეთი აზრი გამოსთქვა კუბელებზე თავის ნოტაში, 22 ივნისის რიცხვით, ხოლო შეერთებული შტატების მთავრობამ უპასუხა 30 ივლისს, რომ ის არ ეთანხმება ესპანიის მთავრობის შეხედულებას.»

«ამ ნაირად—ამბობს» «ტან»-ი,—შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებით, კუბელებს, როცა ისინი ესპანიის ბატონობის ქვეშ იყვნენ, დამოუკიდებლობის შნოც ჰქონდათ და უნარიც, ხოლო როცა ამერიკელებმა მძლავრად ჩასჭიდეს ხელი კუნძულ კუბას, მაშინ კუბელებს უცებ დაეკარგათ ეს შნოც და ეს უნარიცა. კუბელების საქმე სწორედ ისეა, როგორც ერთი ახალგაზდა ქალისა იყო: გასათხოვრად პატარას ეძახდნენ, ხოლო წყალის მოსატანად დიდსა. სანამ ესპანიასთან ბრძოლაში კუბა საჭირო იყო ამერიკისთვის, მაშინ ყველაფერი შეეძლო, ეხლა კი უცებ ყველაფრის შნო გაუწყდა, გარდა იმისა, რომ ამერიკისათვის წყალი ზიდოს.»

✿ მიუხედავად იმ ცნობებისა, რომლებსაც კიტჩენერი უგზავნის ინგლისის მთავრობას, ზოგიერთი კერძო ცნობებიდან და ინგლისური ოპოზიციონური და ფრანგული გაზეთების ცნობებიდან სჩანს, რომ ბურების საქმე არც ისე ცუდად არის, როგორც ინგლისელი კაპიტალისტების იასაულის, ლორდ-კიჩენერის დეპეშებიდან გამოდის. ასე, რუსულ გაზ. «ნოვოსტი»-ს სწერენ ლონდონიდან:

«აქ ამბავი მოვიდა, რომ დელარეიმ გენერალი ბაბინგტონი დაამარცხა, 2 ბატალიონი ტყვედ წაიყვანა და დიდ-ძალი სამხედრო იარაღი ხელში ჩაიგდოო.»

«პარი ნუველ»-ი იუწყება, რომ პრეზიდენტ კრიუგერის მიერ მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ ბოლოს დროს ინგლისელებს ტყვედ მოჰყავთ მომეტებულად სულ მშვიდობიანი, უწყინარი ფერმერები და არა შეიარაღებული ბურები.

ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში ბურებმა ბევრ ადგილას სრულებით შესწყვიტეს რკინის გზის მოძრაობა ნატალში, დელაგოაში და ორანჟეს რესპუბლიკაში.

ინგლ. გაზ. «დეილი მაილ»-ს ატყობინებენ ბრიუსელიდან 2 მაისის (ახ. სტ.) რიცხვით:

«კრიუგერმა ცნობა მიიღო ლორენცო მარკეზიდან, რომ აფრიკანდერების აჯანყება კაპის ახალშენის ჩრდილოეთ ნაწილში უფრო და უფრო ძლიერდებაო, ბურებს 7000 კაპელი ჯოლასდიელი მიემხროო».

✿ «ნიუ-იორკ-ჰერალდ»-ს ატყობინებენ პეკინიდან, რომ გენერალი ფრეის სამხედრო დავლა, უკან დაბრუნებული საფრანგეთის მთავრობის მიერ, უკვე პეკინში ჩამოიტანესო. ამ დავლის დაბრუნების პირველმა შემთხვევამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩინელებზე; მაგრამ ამათ არა აქვთ იმედი, რომ დანარჩენმა დიდმა სახელმწიფოებმაც საფრანგეთის მაგალითს მიჰბაძონ.

✿ კონსტანტინეპოლიდან ატყობინებენ გაზ. «ტან»-ს, რომ საქმის ვითარება იემენში, არაბეთში, დიდად საშიშოა, უფრო სერიოზულია, სინამ ეს ოსმალეთის მთავრობას მიაჩნიაო. აჯანყებულებს სწადიანთ, რომ ხონთქარს ხალიფატი წაართონ და ისევ წინასწარმეტყველის შთამომავლებს გადასცენ და ამნაირად ძველი არაბეთის იმპერია აღადგინონ. მაჰმადის ერთ-ერთმა შთამომავალმა, (ასე უწოდებს ის თავის-თავს) დიდ-ძალი მომხრეები იშოვა, მათი შემწეობით ოსმალეთის ჯარი დაამარცხა და ესახადის ციხე დაიჭირა; ამ ციხის დამცველი ჯარი სულ ერთიანად გააწყვეტინა. ამის შემდეგ ამ კაცმა თავის-თავი ხალიფად (მაჰმადიანების უმაღლეს პირად) გამოაცხადა. ამისთანა მოძრაობა არაბეთში იშვიათად არა ხდება და მისი ჩაქრობა სახელ-და-ხელოდ დამზადებული ჯარებით, როგორც ეს ოსმალეთის მთავრობას ეგონა, შეუძლებელია. ამ მოძრაობამ ძალიან მაგრად გაიდგა ფესვები და ისიც საყურადღებოა, რომ მას მხარს აძლევს მუსულმანთა მეტად მძლავრი საიდუმლო საზოგადოება, რომლის უმთავრესი ბინა იმყოფება ეგვიპტეში, ქ. ქაირში, ხოლო განყოფილებანი—სირიაში, ქ. დამასკში და არაბეთში, ქ. მექაში. ამ საზოგადოებას სახელად ჰქვიან «ჯემიეტ-უზ-ისლამიეტ» და საგნად აქვს არაბების იმპერია აღადგინოს და ხალიფატი ისევ მაჰმადის შთამომავლებს დაუბრუნოს. ამ საზოგადოებამ თავისი დელეგატები გაგზავნა მექაში, იმ აზრით, რომ საზოგადოების აზრები მექის მლოცავებში გაავრცელონ. ეს დელეგატები არაბეთის საუკეთესო ოჯახის შვილები არიანო».

## ახალი ამბავი

◆ მომავალი [illegible] გამოფ[illegible] საორგანიზ[illegible] კომიტეტმა [illegible] მისცეს 10 საგუბერნიო კომიტეტს ორ-ორასი მანეთი ექსპონატების მოსაგრო-ვებლად და ტფილისში გამოსაგზავნად.

◆ შაბათს, 28 აპრილს, კავკასიის [...]ურნეო საზოგადოების სადგომში სხ[...] ჰქონდა კავკასიის სამეურნეო სამრეწვ[...] გამოფენის გამგე კომიტეტს ზოგიერ[...] მიმდინარე საქმეების განსახილველად. [...]მიტეტმა, სხვათა შორის, განიხილა სა[...]ხი გამოფენაზედ ჟურნალ გაზეთებისა[...] ტიპოგრაფიებისათვის განსაკუთრებულ [...]ვილიონის გამართვის შესახებ ბეჭდ[...] სიტყვიერების და სხვა ნაწარმო[...] გამოსაფენად. კომიტეტმა საბოლოო[...] საკითხი ვერ გადასწყვიტა და გადა[...] ხუთშაბათს, 3 მაისისათვის, როდესაც [...]დევ ექმნება სხდომა გამგე კომიტეტს. სხდომაზედ მიწვეულია ბეჭდვითი სა[...] პავილიონის შესახებ საკითხის შემმუშავე[...] კომისიის თავმჯდომარე თავ. გ. მ. თ[...]ნიშვილი.

◆ ამერიკის ერთ ფირმის წარმომა[...]ნელს უთხოვია გამოფენის კომისარიატ[...]თვის დაუთმოს მას პავილიონისათვის [...]სოდ 30 კვ. საჟენი. სამაგიეროდ იგი [...]რთავს გამოფენისათვის სინემატოგრაფს[...]

◆ პარასკევს, 4 მაისს, მოხდება კა[...]სიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა [...]ბა, რომელიც განიხილავს საბალოსნო [...]ლის სამეურნეო კომიტეტის მოხსენ[...] ხსენებულ სკოლაში მომხდარ უწესოებ[...] შესახებ.

◆ როგორც შევიტყვეთ, ტფილისის [...]მინარიის პედაგოგიურს საბჭოს საბოლო[...] გადაუწყვეტია სემინარიისათვის ახალი [...]ნობის მოსაპოვებლად ადგილი იყი[...] ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ახ[...] ვერაზე, ზომით 7 დესეტინა. ადგილი [...]წონებულ იქმნა მკურნალებისაგან, როგ[...] მდებარეობის, აგრეთვე ჰავის მხრითაც.

◆ ტფილისის სასულიერო სემინა[...]რექტორი არხიმანდრიტი სერაფიმი, ს[...]ნარიის საქმეებისა გამო, 25 აპრილს პეტ[...]ბურგში წავიდა.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზ[...]ნველის თანაშემწე ბ. ზავადსკი ჩამო[...] პეტერბურგიდან. ბ. იანოვსკის ელიან [...] კვირის გასულს.

◆ პირველ საქალებო გიმნაზიაში [...]ნასკნელ წელს კურს დამთავრებულთა [...]

სხვა ფიგურები სამუსიკო ხმებისა არ უნდა უშლიდნენ ჩვენ ყურთა—სმენას, რომ თვითონ მელოდიების უწვლილესი ძალნიც კი იგრძნონ მათ. აი სწორეთ ამ ქართულ ხმებისთვის საკრავ შეწყობაში გამოიჩინა ბ. კლენოვსკიმ ცოდნა და ხელოვნება, ასე რომ წერილის დამწერმა მშობლიური კილოებიც-კი გამოიცნო, თუმცა მას აუარებელი საკრავთა ხმა, სიმფონიურის ხასიათისა, თან ახლდა.

მუსიკის მცოდნე პირი კი ამ საღამოზედ დამსწრე და ამა მუსიკის გამგონი, ყველა ამის შემდეგ ასე იტყოდა: მოვისმინე ქართული კონცერტი შემოშავებული სიმღერებისა... კონცერტის შინაარსი ხომ სიმღერა იყო და არა სუროგატი, რომელიც მხოლოდ მას სამკაულად ჰქონდა. მაგრამ ჩვენ უფრო მეტს ვიტყვით: არამც თუ სიმღერები, თვით საკრავ შეწყობილობა სიმღერებისაც კი ზედმიწევნით ქართული იყო, მაგალითად: მხოლოდ მუსიკის მცოდნის მახვილი ყური შენიშნავდა ფაგოტს, რომელიც უკრავდა „კუჩხა ბედნიერის“ უმთავრესს მოტივს ხოროსთან ერთად, ან და ინგლისურ რქას, რომელიც „გულნაქაში“ ხოროს კვალ და კვალ, რამდენიმე ტაქტით წინ დასასკვნელ კადენციამდენ, პირ წმინდათ იმეორებდა მთელ მელოდიას ð კლარნეტი და ალტო კი უკრავდა ორ მეორე ხმას იმავე სიმღერისას და სხვა... ბევრ ამისთანა მაგალითს მოვიყვანდი დასასაბუთებლად, მაგრამ ამაზედ ბაასი შორს წაგვიყვანს, რადგანაც სპეციალურ სამუსიკო საგნებზედ მოგვიხდება მსჯელობა... დავიჯერო, ზურნა, დიპლიპიტო, დაირა და დუდუკი რომ ყოფილიყო, უეჭველად მაშინ იქმნებოდა ქართული? არა! საჭირო იყო მხოლოდ ცოდნა, ძლიერი ხელოვნება, რის წყალობითაც ბ. კლენოვსკიმ სიმღერების შეწყობას და საკრავთა მუსიკას გაუბატონა ის ძველებური კილოების წესრიგი, რომლის თანახმად ითქმის ჩვენი საერო სიმღერა, ანუ მოთხოვნილება იმ შეუთანხმებელ ტეტრახორდებისა, რომლებსაც ჯერ არ მოუპოვებიათ მოქალაქეობრივი სიმართლე თანამედროვე სამუსიკო მეცნიერებაში. ჩვენ გვინდოდა მოგვეყვანა აქ მრავალ მცოდნე პირთა აზრი ამ სიმღერების შემუშავებაზედ, მაგრამ ამასაც თავი დავანებეთ.

როგორც ფელეტონიდამ სჩანს, თურმე იმ სიმღერებს უფრო მაღოროსსიული ელფერი დაჰკრავდა, და ამასავე ამტკიცებდნენ ამ კონცერტზედ ზოგიერთა დამსწრე მცოდნე პირნიცკიო. აი ეს უცნაური აღმოჩენა ჩვენ პირადად საინტერესოდ მიგვაჩნია და ვწუხვართ, რომ რომელიმე იქ დამსწრე მცოდნე პირმა არ დაგვისაბუთა ეს. ვინ უწყის, იქნებ ამისთანა მცოდნე პირის მსჯელობას უფრო ესიამოვნებინა ბევრი მკითხველთაგანი თავის მეცნიერული აღმოჩენით, ვიდრე ჩვენ და „Нов. Обозр.“-ის წერილის დამწერს.

ამას კი ვიტყვით, რომ იმისთანა მცოდნე პირს, რომელსაც კამარინსკი და ქართული კილო ვერ გაურჩევია, ღმერთმა ნურც მეტი შნო და ლაზათი მისცეს და ნურც ჩვენ საზოგადოების ყურს გააგონოს იმისი მსჯელობა. იქნებ მოიპოვებოდეს მუსიკისაც ამისთანა მცოდნეც, მხოლოდ ჩვენ კი გვგონია, რომ ამ პირისათვის ცოდნას სინათლე კი არა, სიბნელე მოუტანია და რა უსამართლობა იქნება, თუ იმის ცოდნას სიბნელეს დავარქმევთ სახელად.*)

კეთილშობილური გრძნობა და გონება მოითხოვს ყველასგან, რომ მის დღეში არ გადააბიჯოს კაცმა პატიოსნების სამზღვარს, უფრო კი მაშინ, როცა იგი მსჯელობს ვიზედმე და რაზედმე; მუდამ ახსოვდეს თავის თავმოყვარეობა, რომელიც თავის თავშესაფარად მიაჩნია და ის საგანიც, რის [...]ხებაც მსჯელობს და უყვარს კიდეც. [...]ლოდ თუ კაცი არ არის აღჭურვილი [...]ღირსებით, მით უფრო სახიფათოა იმის[...] იქონიოს ბეჭდვითი მსჯელობა იმ საგ[...] რომლის წეს-კანონებშიაც არ არის ჩახ[...]ლი. სხვა შემთხვევაში ყველა იმის [...] საგანზე ექმნებოდა ფუქსავატი და უმ[...]ნელო ლაყბობის ხასიათი.

აწმყო დროის კაცი ეგრე ადვილად იწამებს და არც არაფრით ინუგეშებს ყოველივე კეკემალულაობა მეცნიერ[...] თუ ხელოვნებაში იმას პირდაპირ სი[...]ედ, პირმოთნეობად მიაჩნია. ჩვენ, როგ[...] არ მქონეს ციდან მოვლენილ მწერლ[...]ნიჭისა, გარდა რამდენიმე შემთხვევისა, [...]მელთაც ეხლა ყველა იმ ჩემს ქალა[...]ვარჯიშობა-ცელქობას გულ-გრილად [...]რებთ და, მაშასადამე, მიუდგომელ[...] გარეშე მაყურებელს, ყველა ეს ამბები[...] სართობად მიმაჩნია, რომ ულონობას [...]ნ[...]დ ჰხდიან და ხელ-მიუწვდენელ ს[...]ებლაუჭებიან. ყველა ამას კი ის მოს[...] რომ ადრე თუ მალე შემდეგში ჩვენი [...]მავალი თაობა განსჯის ყველა ჩვენ ნა[...] და შეცდომას და ის ტყუილი მსაჯ[...] პირნი ხელოვნებაში თუ მწერლობაში [...]მნებიან მოყვანილნი ჯეროვან ღონემ[...]

ი. კარგარეთე[...]

(დასასრული იქნება)

*) ამას წინად ჩემთან მოვიდა ერთი 10—11 წლის ყმაწვილი, ბუნებისგან ბშვენიერის ხმით და სმენით დაჯილდოვებული. მე, სხვათა შორის, ვკითხე: სიმღერა-გალობა იცი? სად სწავლობ? ან გალობდი? ან ვინ გასწავლის გალობას? იმისმა ზრდილობიანმა პასუხმა მასიამოვნა. მე უთხარი: აბა იგალობე რამე? დაიწყო გალობა და იცით, ბატონებო, რა საგალობელი და რა ჰანგზე! „განათლდი, განათლდი ახალო იერუსალიმო“—რუსულ კილოზე, „სწორედ კამარინსკის ჰანგზე. როცა კი გნებავთ ამის სინამდვილეზე დარწმუნდეთ, შეგიძლიანთ მე მომმართოთ. ჩემის აზრით, ეს ისეთივე ცოდვა არის, როგორც რომ შვილმა დედას პური სთხოვოს და დედამ კი პურის მაგივრად ქვა გაუწოდოს თავის ღვიძლ შვილს.

...ჯილდო მიუღია 4 ქართველ ქალს—...მ შიუკაშვილს ოქროს მედალი, თა...ბერეჟიანს, ნინო გამრეკელს და ლი...ქელაძეს ვეცხლის მედლები.

...დეკანოზ ვოსტორგოვს, სამრე...სკოლების უფროსს, მიენდო მცხეთის ...ებო სასწავლებლის გამგებლობა.

...კალიის მოსასპობად მიეცათ: ტფილი...გუბერნატორს—1400 მ., ბაქოსას—...0, განჯისას—16.000 და დაღესტნი...5000. ზოგიერთ ადგილას კალია უკვე ...ეკალია.

...უკანასკნელ წვიმების გამო მეტად ...ბულან მთის მდინარეები და დიდი ...ლი მიუყენებიათ მცხოვრებლებისა... განსაკუთრებით დაზარალებულა კავ...ს სამხედრო გზა, რის გამო რუსეთის ...ა არ მოსულა. გზების გასაწმენდათ ...ი მიუღიათ და იმედი აქვთ, რომ ...დან (1 მაისს) ფოსტას შეეძლება თა...ული მიმოსვლა.

...გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ...ოსნო, სავაჭრო და მოქალქეთა მო...ების თანდასწრებით მოახდინა მესამე ...ოიგაციო სესხის 1-ლი ტირაჟი 8000 ...ისა.

...ქ. ტფილისის თვით მმართველობაში ...სახურეთა საპენსიო კასსის პროექტის ...ილებითი განხილვა დანიშნულია ...5 მაისს.

...გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ...დგინა გუბერნატორს ფუნიკულერის ...ქტი.

...სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ...ბებუთაშვილმა წარმოუდგინა გამგეო...ბალი მოხსენება ქალაქის ცენტრალურ ...მყოფოს ᲓᲐ მის განყოფილებათა რევი...შესახებ. ბ. ბებუთაშვილი თხოულობს, ...შეიძლება მალე იქმნას გასწორებული ...მნული ნაკლულევანებანი. ყველაზე ...ესს მდგომარეობაში ყოფილა, რო...ც სჩანს მოხსენებიდან, კუკიის ახალი ...დმყოფო.

...ქ. ოზურგეთიდგან ალტაცებულ წე...ებს იწერებიან ვ. მესხიშვილის მიერ ...თულ ქართულ წარმოდგენების შე... წარმოდგენებს დიდ-ძალი ხალხი ეს...ოდა თურმე.

...გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობაზე ...ისში არსებულის ბიბლიოთეკის კომი...ი აცხადებს ქუთაისის საზოგადოების ...რადღებოდ, რომ 2 მაისს, საღამოს 9 ...ზე, ბიბლიოთეკის სადგომში წაკითხულ ...ა ბიბლიოთეკის მოქმედების ანგარიში ...ოხდება არჩევნები რამდენიმე ახალის ...ისა.

...ბ. მოსე ნინიძე გვთხოვს გამოვაცხა..., რომ რადგან მან გადათარგმნა მონ...ცის „შრომა და ბედნიერება“ და ...ექდვასაც შეუდგა, სხვები ნუ ინებე...მ წიგნის თარგმნას.

... 29 აპრილს, ღამის ორ საათზე, ცეცხ... გაუჩნდა რიფსიმიძის 3 სართულიან ...ს ავლაბარში, დაღესტნის ქუჩაზე. ცეც...მქრობელი რაზმი დროზე მოვიდა და ...რა ცეცხლის გაძლიერება. მიზეზი ცე...ს გაჩენისა არ იციან. გამოძიება სწარ...ს.

...ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ...გაურზე 29 აპრილს მუშა მატარებლის ...ლის შემდეგ რკინის გზის ლიანდაგზე ...ნეს ფეხ-მოჭრილი განჯის გიმნაზიის ...ავლე შარაგდსკი. როგორც აღმოჩნდა, ...გდსკის ნდომებია მატარებელზე ასვლა ...როს, როცა იგი დაიძრა, და ქვეშ მო...ლია ბორბალს. დაშავებული ევლახის ...დმყოდოში გაგზავნეს.

...ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი: ...ა ხარი თავისთვის არ იყო და სხვას ...ებს უგერებდაო,“ სწორედ ესეა ჩემი საქ...მარშან 1900 წ. ღვინობისთვის 7-ში, ...ლი კამეჩი დავკარგე „ღრმა ღელიდან“ და ...შემდეგ დავეძებ დაკარგულ კამეჩებს და ...ვიპოვნე, ვერც კამეჩები და ვერც მისი ქურდი. ამ თვის 15—16 რიცხვებში, მოვიყვანე ორი ნაქურდალი კამეჩი, ერთი სიღნაღის მაზრაში იყო და მეორე ყარაიაზში ვნახე. ქურდი ამბობს, შენგან არ მომიპარავსო, ავჭალელის არისო; ჩემ კამეჩებს კი ძალიან ჰგვანან. ნიშნებით ჩემები უნდა იყვნენ; მხოლოდ ერთი ნიკორა არის და ამბობენ, რომ ბევნაირად შეიძლება ნიკორა გააკეთონო. ეხლა არ ვიცი, იქნება სხვისაც იყოს, ამიტომ ვისაც დაუკარგავს კამეჩები, მოვიდეს და ნახოს მადათოვის კუნძულზე, თავად ბაგრატიო-მუხრანსკის კონტორაში. მპოვნელი გრიგოლ ყაზარასძე აკოფოვი“.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამა 1901 წ...ის 7 იანვარს, ღამით, ვიღაც ბოროტ განმზრახველთ გასტეხეს არშაკუნის მაღაზია, საიდანაც მოიპარეს 506 მან. ღირებული საქონელი. ქურდობაში ეჭვი მიიტანეს ვიღაც მჭედლიშვილზე (იგივე იმერიშვილი) და ალექსი ზაზიევზე, რომელნიც დღევანდლამდი იმალებოდნენ და პოლიციამ ვერ მიიგნო. შაბათს, 28 აპრილს, პოლიციის მე-9 ნაწილში მიიგნო იგინი პოლიციამ და დააპატიმრა.

---

# თეატრი

**«პეპოს» დღესასწაული.** კვირას, 29 აპრილს, ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ იდღესასწაულა ბ. გაბრ. სუნდუკიანცის კომედიის „პეპოს“ 30 წლის იუბილეი.

თეატრი სადღესასწაულოდ იყო მორთული და სავსე საზოგადოებით; ბევრი იყო სომეხიც და რუსიც. წარმოდგენილ იქმნა „პეპო“, რომლის როლები ასე იყო განაწილებული: არუთინ ზიმზიმოვი—ვ. აბაშიძე, ეფემია, მისი ცოლი—მ. საფაროვ-აბაშიძისა, პეპო—ს. სვიმონიძე, კაკული—გ. გედევანოვი, შუშანა, პეპოს დედა—ნ. გაბუნია-ცაგარლისა, გიქო—კ. ყიფიანი, ზიმზიმოვის მოსამსახურე—კ. მესხი და სხვანი ამ ქართულის სცენისა, საუკეთესო არტისტებმა, რასაკვირველია, მეტად მწყობრად და ლამაზად ითამაშეს და დიდად ასიამოვნეს საზოგადოება.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო აქტი. აიხადა ფარდა და გამოჩნდა მშვენიერად მორთული სცენა, რომელზედაც მწყობრად იდგნენ არტისტები და სხვა და სხვა დეპუტაციები. საიუბილეო კომედიის ავტორი, პატივცემული გ. ნ. სუნდუკიანცი, იჯდა მარცხენა დიდ ლოჟაში. პირველად მიჰმართა ბ. სუნდუკიანცს ქართულ დრამატიულ საზოგადოების თავჯდომარემ ვ. ა. სულხანიშვილმა და საზოგადოებისაგან მიულოცა ღირსშესანიშნავი დღე მხცოვანს დრამატურგს. შემდეგ სიტყვა უთხრა სახაზინო თეატრის დირექციის წარმომადგენელმა ბ. ოპოჩინინმა, რომელმაც, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ ხელოვნება ერთის მხრით ეროვნულია, რადგანაც იცავს სამშობლო ენასა და ჰხატავს ერის ცხოვრებას, მეორეს მხრით—კაცობრიობის იდეებსაც ავრცელებს; ამ მხრით იგი მოხარულია, რომ როგორც რუსულ თეატრის წარმომადგენელი პატივისცემას უცხადებს სომეხ დრამატურგს ქართულ თეატრში. შემდეგ წაიკითხეს ადრესები: ბ. ვ. აბაშიძემ—ქართული დასისაგან, ქ-ნ ჩაჩიბაიასამ—ქართულ სახალხო თეატრისაგან, ბ. კუზავოვმა—რუსულ სახალხო თეატრისაგან, ბ. ფირუმიანმა—სომხურ სახალხო თეატრისაგან, ბ. ვ. აბაშიძემ წაიკითხა რუსულ დრამატიულ დასის მმართველის ბ. ლიდვიგოვის, წერილი, რომელშიაც იგი მწუხარებას აცხადებდა, რომ ვერ შეიძლო მოსვლა და თავის პატივისცემის პირადად გამოცხადება. ბ. კ. ყიფიანმა წაიკითხა ვრცელი წერილი, რომლითაც დაახასიათა ბ. სუნდუკიანცის მნიშვნელობა, როგორც დრამატურგისა, ქართულ და სომხურ სცენისათვის. შემდეგ ბ. გედევანოვმა წაიკითხა მილოცვის დეპეშები: ქუთაისის ქართულ თეატრისაგან, გასტროლერ მოგზაურ ქართულ დასისაგან, ბაქოს ქართველთაგან, ქ-ნ ეფემია მესხისაგან, ერევნის ქალაქის თავისაგან და სხვათაგან. ბოლოს ბ. კ. მესხმა წაიკითხა ლექსი იუბილიარის პატივსაცემლად. ბ. სუნდუკიანცს მიართვეს რამდენიმე გვირგვინი და ლირა.

მილოცვის გათავების შემდეგ ბ. სუნდუკიანცი ავიდა სცენაზე და მოკლე, გრძნობით სავსე სიტყვით მადლობა გამოუცხადა ქართველ საზოგადოებას პატივისცემისათვის. მეო, სთქვა პატივცემულმა გაბრიელ ნიკიტისძემ, ამ ქვეყნის შვილი ვარო და საქართველო მიყვარს, როგორც ჩემი სამშობლო, ქართველები—როგორც ჩემი ძმები და შვილებიო; ამდენი პატივისცემა ჩემს მცირე ღვაწლს არ შეეფერებოდა და ეს მოასწავებს მხოლოდ თქვენს გულკეთილობასაო. საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშის ცემით და „ვაშას“ ყვირილით დაასაჩუქრა თავმდაბალი და ღირსეული მოღვაწე, მუსიკამ „მრავალჟამიერ“ დაუკრა და დღესასწაული დასრულდა.

---

## საქალაქო საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების კრება

კვირას, 29 აპრილს, „ტფილისის სობრანიეს“ სადგომში მოხდა საზოგადო კრება ტფ. საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების წევრთა. კრებას დაესწრო 204 წევრი, რომელთაც ჰქონდათ 104 ვექილობის ქაღალდი, ისე რომ სულ იყო 308 ხმა; კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. კრების დაწყებისათანავე რამდენიმე პირმა პროტესტი გამოაცხადა იმის შესახებ, რომ გამგეობამ არ მიიღო ვექილობის ქაღალდები არა დამზღვეველთაგან; ისინი აცხადებდნენ, რომ წესდების მე-20 § ძალით დამზღვეველთ ნება აქვთ კერძო პირთაც მისცენ ვექილობა კრებაში მონაწილეობის მისაღებად. ბ-ნი ალიხანოვი, თუმანოვი, (დ. ნ.) იონესიანი და სხვანი ამბობდნენ, რომ 1891 წლის საზოგადო კრების დადგენილებით, კერძო პირთ არ აქვთ ნება წარმოადგინონ ვექილობები; გარდა ამისა სამინისტრომაც გადაჭრილი პასუხი არ გამოგზავნა ამ საგნის განსამარტავად; ამიტომ ამათ უარ ჰყვეს ხსენებულ პირთა მონაწილეობა. ბ-ნმა დანილოვმა და ლისიციანმა აღიარეს, რომ საზოგადო კრების დადგენილება უკანონო იყოვო, რადგანაც მე-20 § პირდაპირ ამბობს, რომ კერძო პირთაც შეუძლიანთ ვექილობით მონაწილეობა მიიღონ კრებაში.

კრებამ ფეხზე წამოდგომით გადასწყვიტა, რომ ხსენებულ პირთ არ აქვთ ნება მონაწილეობის მიღებისა; მაშინ ს. ზ მირზოევმა გამოაცხადა, რომ უკანონოდ სთვლის ამ დადგენილებას და მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, სანამ ძალით არ გაიყვანებენ.

კრება შეუდგა ანგარიშის-განხილვას, რომლიდანაც სჩანს, რომ საზოგადოების მოქმედება თან დათან ძლიერდება; დღემდის საზოგადოებას დაუზღვევია 17 მილიონი მან. მეტის ღირებულობის მამული. საზოგადოების წევრმა თუმანოვმა წინადადება შეიტანა, რომ საზოგადოების ადმინისტრაციაში ირჩევდნენ მხოლოდ წევრთ; შემდეგ საზოგადოების ერთმა წევრმა აღძრა საკითხი დაზღვევის პრემიის შემცირების შესახებ. ამ კითხვების გადასაწყვეტად კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა სამი თვის განმავლობაში განიხილოს ეს საკითხები და აგრეთვე წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლის შესახებ და საგანგებო კრებას წარმოუდგინოს თავის მოხსენება. კომისიაში არჩეულ იქმნენ დ. ნ. თუმანოვი, ნ. ი. თამამშევი, ნ. ნ. ასტროგოვსკი, ი. ა. მარკოზოვი ი. ს. ალიხანოვი, პ. ს. ვასილიევი, თავ. ა. ი. ბებუთოვი და ი. ა. სულხანიშვილი.

შემდეგ კრებას წარედგინა განსახილველად საზოგადოების ხარჯთ აღრიცხვა 1901 წლისათვის, რომელიც მცირეოდენის ცვლილებით დამტკიცებულ იქმნა. სულ საზოგადოების ხარჯად დანიშნულია 7865 მან. 2 კაპ.

დასასრულ საზოგადო კრებამ აირჩია: დირექტორად, ნაცვლად ნ. თ. ტიგრანოვისა, თავ. ი. მ. ბებუთოვი (241 თეთრი და 97 შავი); გარდა ბებუთოვისა ... ... ... ოთხმა კაცმა. დირექტორის ... ... არჩეულ იქმნა ნ. ა. გრიქუროვი. ზედამხედველ კომიტეტის წევრებად აირჩიეს ნ. ნ. ოსტროგორსკი და ი. ა. მელიქ ბეგლიაროვი; მათ კანდიდატებად ი. მ. ალიხანოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად მ. რ. დოლუხანოვი და გ. ი. თამამშევი. არჩევანების შემდეგ ი. გ. ალიბეგოვმა გამოაცხადა, რომ ეს კრება უკანონოა, არჩევნებიც უკანონოდ არის მოხდენილი და ითხოვა განცხადების ოქმში შეტანა.

---

# პროვინცია

**ქ. დუშეთი.** გაზაფხულის პირმა თავის გვალვით საშინლად შეაწუხა წლევანდელი მოსავალი. ბოლოს ღმერთმა გადმოგვხედა და ამ თვის 16-ს მოვიდა კარგი წვიმა, რამაც გააცოცხლა მთლად უკან გაბრუნებული ჯირნახული; ძლივს ვნახეთ მუშა ხალხის პირზედაც ღიმილი

დიდმარხვის უკანასკნელ კვირაში ატეხილმა ცივმა ქარმა, რომელმაც გასტანა ერთი დღე და ღამე, მეტად ცუდად იმოქმედა ახლად გამოტანილს ყვავილებზედ, მეტად შეაწუხა ამ ქარმა კაკლები; თითქმის დუშეთის გარშემო ვერ ნახავს კაცი კაკალს გაფოთლილს, ისე რომ ჯერ კაკლებისთვის არ გაზაფხულებულა.

ქ. დუშეთში ზოგიერთ მოხელესაც იანვარი ჰგონია; ქართული ანდაზა რომ არის ნათქვამი: «დვლელმა უძაღლო სოფელი ნახა და უჯოხოდ დაიწყო სიარულიო», სწორედ აქაურ მომრიგებელ მოსამართლეზედ არის ნათქვამი; ჯერ მისთვის აღდგომის უქმეები არ გათავებულა, ისე რომ დანიშნული საქმეები გასარჩევად 12-ში, 13 და 14 აპრილისა ხელმეორედ იქმნა გადადებული, რადგან იგი ჯერ არ დაბრუნებულა ტფილისიდან. ხალხი, შორს სოფლებიდან დაბარებული ელოდა მოსამართლეს მთელი სამი დღე გულ-ხელ დაკრეფილი გაზაფხულზედ, როდესაც მუშა ხალხისთვის ერთი საათიც კი საჭიროა ეს დალოცვილი აცდენს უბრალო საქმისათვის მთელი კვირით. სამი დღე ახლა მოსცდა, სამსაც მეორე დაბარებაზე მოაცდენს და გამოდის მთელი კვირა. უიმისოდაც ამ მაზრის ხალხი შევიწროებულად სცხოვრობს, და თუ ასე ხელს შეუწყობენ, უეჭველია გაუუმჯობესებენ მდგომარეობას ხალხს!!! აკი ვამბობ, შეიძლება მოსამართლეს ისევ 'იანვარი ჰგონია, რადგან იანვარში მუშა ხალხს თითქმის არაფერი არა აქვს სამუშაო.

დუშელი.

—

**ბასილეთი.** (გურია) 15 აპრილისათვის დიდი ხანია ემზადებოდა ბასილეთის საზოგადოება, რადგან ამ დღეს მამასახლისი უნდა აერჩიათ. ვინ არ იცის ჩვენი კანცელარიის აწეწილ-დაწეწილი მდგომარეობა: გლეხებზე დარჩენილი «ნედოიმკები», გაუვალი გზები და სხვა; ვის არ ვაუწყეთ ბასილეთლებმა—ჯამაგირიანი და ნასწავლი კაცი გვესაჭიროება-თქო, და როდესაც მოაღწია არჩევანის დღემ, საქმე ძველ კალაპოტშივე დავტოვეთ. არჩევანებზედ ჩვეულებრივად დიდძალი ხალხი შეიკრიბა სასამართლოსთან. ზარხოშობა, შედარებით გდასვინდელზე, ამ დღეს ნაკლებად ეტყობოდათ (ჩვენში, საზოგადოდ, მამასახლისის არჩევაზე ჩვეულებად აქვს ხალხს ზარხოში მოვიდეს საარჩევნოდ). მაზრის უფროსმა პირველად წინადადება მისცა საზოგადოებას შესახებ «სადილიჯნო» გზის შეკეთებისა; საზოგადოებამ თანხმობა გამოაცხადა და ის იყო გეგონა დაიყვნენ მოსალაპარაკებლად და კომისიის აარჩევად, რომ ისევ დაბრუნდნენ და სასამართლოს კარებთან ერთად იგრგვინეს: «ჯერ მამასახლისი გვინდა, მამასახლისიო!» ხალხი დაიყო სამ ნაწილად, თითქმის ორი წილი ასახელებდა მელიტონ თავართქილაძეს, უმცირესობა გიორგი კალანდაძეს და დანარჩენები—დროებით აქ მყოფს ბ. აპოლონ წულაძეს. ამ დროს მაზრის უფროსმა აუწყა საზოგადოებას, რომ მ. თავართქილაძე პასუხის გებაშია მიცე-

მული და მისი მამასახლისად არჩევა უთვლად შეუძლებელიათ. მაშინ უმრავლესობამ დაასახელა გიორგი თავართქილაძე და კიდევაც გაათუთრეს იგი. თანაშემწედ არჩეულ იქმნა ქიმვარდი გოგიბერიძე,—ესე იგი... ისეთივე მამასახლისი და თანაშემწე, როგორიც იყო ან უთუოდა მა ჟამსა შინა მოველოდით კი სხვას.

ოკტავა.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

30 აპრილი

**პეტერბურგი.** 29 აპრილს, ხელმწიფე იმპერატორის ქალაქ ოტსუში (იაპონია) ხიფათისაგან გადარჩენის ათის წლის შესრულების და აგრეთვე დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის დაბადების დღეს, ისაკის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი.

**გროდნო.** ბრესტი კიდევ იწვის; დიდი ქარი ქრის; დაიწვა სულ ასზე მეტი სახლი ქალაქის საუკეთესო ნაწილში. ბელოსტოკიდან გაიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმი. დაიწვა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა.

**კიევი.** აქაურ ლავრაში მცხოვრები უსამღვდელოესი იოანნიკი, ხოლმისა და არქანგელის ეპისკოპოსად ნამყოფი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

**ტვერი.** აქაურ საპატიმროში დამწყვდეულმა კატორღაში გასაგზავნმა მაროზოვმა, რომელიც დასჯილ იქმნა ფოსტალიონის მოკვლისა და ფოსტის გაცარცვისათვის, დაარჩო ზედამხედველი, ჩაიცვა მისი ტანისამოსი და გაქცევას აპირებდა; ამ დროს ის შენიშნა მეორე ზედამხედველმა; მაროზოვმა მასაც დაუპირა დახრჩობა, შემდეგ შევარდა თავის კამერაში, შეიარაღდა მოკლულის რევოლვერით და დღე ნახევარს არ დანებდა მცველთ; მხოლოდ საშინელმა წყურვილმა აიძულა იგი დანებებოდა.

**ბარცელონა.** მშვიდობიანობა და წესიერება აღდგენილია.

**მადრიდი.** გენერალ ვეილერი აშკარად თხოულობს, რომ კატალონიას თვით-მმართველობა მიენიჭოს.

**სევილია.** ერთ ბავშვს ფეხი მოსწყვიტა რკინის-გზის ვაგონმა. ხალხი ამ ამბავმა აღელვა და არეულობა გამოიწვია.

**იოკაჰამა.** იაპონიის პოლიტიკური მდგომარეობა ისევ ერთ წერტილზედ სდგას. ყველა გაზეთების აზრით, თუ იტო აიჟინებს და არ მოისურვებს დარჩეს კაბინეტის მეთაურად, იგი იძულებული შეიქმნება თავი დაანებოს თავის პარტიის ხელმძღვანელობასაც, ურომლისოდაც შეუძლებელია მტკიცე კონსტიტუციური სამინისტრო.

**პოლტავა.** გაიხსნა რკინის გზით მიმოსვლა კიევსა და პოლტავას შუა.

**ლოძი.** ჩაყარეს საძირკველი ქალთა აქაურის გიმნაზიის საკუთარ შენობისა.

**ნოვოროსიისკი.** ორის დღის განმავლობაში საშინელი ჩრდილოეთ აღმოსავლეთის ქარი ჰქრის; გემები ნავთ-სადგურიდან ვერ გადიან.

| რედაქტორი | გამომცემელი |
|---|---|
| ალ. ჭუმბაძე. | ალ. ჯაბადარი. |

# გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 27 აპრილს.**

**ვექსელის კურსი 3 თვით:**

| | | |
|---|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,80 | |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,92½ | |
| პარიზზე 100 ფრანკში | — | |
| ლონდონზე ჩეკები | 94,70 | |
| ბერლინზე „ | 46,30 | |
| პარიზზე „ | 37,65 | |
| ბირჟის დისკონტი | 5½,—7% | |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96⅛ | გაყიდ. |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 | მყიდვ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა | 96 | გამყიდ. |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 359 | გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 290 | „ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 220¼ | „ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა | 88⅝ | მყიდვ. |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | 93¼ | გამყიდვ. |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | 84¾ | მყიდვ. |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ | 92½ | „ |
| 4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა | 87¼ | მყიდვ. |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურკლ | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 92½ | მყიდვ. |

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთხელ—ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 საათ. 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის საღამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

**საავადმყოფოები:**

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ჰავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლის ედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ, 1899 წლის 28 იანვრის უმაღლესად დამტკიცებულის მინისტრთა კომიტეტის დადგენილების თანახმად, ტფილისის ქალაქის საბჭო გამოსცემს ქ. ტფილისის მესამე სესხის ობლიგაციებს 800,000 მანათისას; თითო ობლიგაცია ღირს 100 და 1000 მანათი და 5% სარგებელი მოაქვს, რომლიდანაც გამოკლებული იქნება მხოლოდ სახელმწიფო გარდასახადი. ობლიგაციები უსახელოც იქნება (წარმომდგენელზე) და სახელ-გვარის წარწერითაც. ობლიგაციების გაბათილება მოხდება 25 წლის განმავლობაში, 1901 წლის 1-ლ აგვისტოდან დაწყებული, ყოველ 6 თვის შემდეგ, ხოლო გაბათილებულ ობლიგაციის ღირებულობა პატრონს დაებრუნება გაბათილების მოხდენის 3 თვის შემდეგ. ობლიგაციებში და კუპონებში ფულის მიცემა მოხდება ხოლმე გამგეობის სადგომში და აგრეთვე იმ ადგილებში, რომელთაც გამგეობა ცალკე განცხადებებში აღნიშნავს.

200 ათას მანეთის ღირებულობის ობლიგაციების განაღდება მოხდება საჯარო ვაჭრობით, რომელიც ... როთება შემდეგ ... გაციებზე ... ტფილისში: საქალაქო გამგე... საკომერციო ბანკში და საურთი... ნდობის საზოგადოებაში ყოველ... კვირა-უქმების გარდა, 3 მაისი... მდე. 2) ყოველი ას-მანათიანი ო... გაცია ეღირება 91 მან. 50 კ.; ... ლის მოწერის დროს უნდა გად... იქმნას 10% იმდენ ობლიგა... ფასისა, რამდენიც მსურველს გან... ხავს შეიძინოს. 4) თუ ხელის ... რის დროს ვინმემ მოისურვა 20... მანეთზე მეტ ობლიგაციების ... იმ შემთხვევაში მოხდება განაწ... ისე, რომ 2000 მანეთის ობლიგა... შეძენის მსურველნი სრულად იქ... დაკმაყოფილებულნი და შემდეგ, ... დარჩება, გაინაწილება მეტ ობ... ციებს შეძენის მსურველთა შორი... ობლიგაციის ღირებულობის ... ჩენი (60%) ფასი მყიდველმა შეიტანოს ობლიგაციების განაწი... შემდეგ, არა უგვიანეს ამა წლ... მაისისა და მათ მხოლოდ მიეცემათ ობლიგაციები. 6) დანიშნულ დროზე არ შეიტანს ... ყიდ ობლიგაციების დანარჩენ ... ის ჰკარგავს იმ 10%-საც, რომ... გადიხდის ხელის მოწერის დრო... 10%-ქალაქის სასარგებლოდ დარ... 7) პროცენტების ანგარიში ი... 1901 წლის 1-ლ მაისიდან.

(ნ. 3—

თხზულება

## თ. რ. ერისთავი...

I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის ქ... ში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშ... ეკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Гру... Издательское Товарищество.

# სახალხო სეირნობა

## საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრ... სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20 და 21 მაისს. შემოწირულ... წარმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან... კოლოოზის ქუჩა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ ... გადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში:** შ... გვისპირელის **პ ი რ ვ ე ლ ი წ ი გ ნ ი**, ფასი ათი შაური. ისტორიული ... ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა „**დამონებულნი**“, თარგმნილი თ. სა... მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნ... უძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товари... გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარ... წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის... კებიც შეიძლება გამოგზავნონ.



სტამბა ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27